ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2713992

ნომერი: AR1412858

თარიღი : 14.06.2016

გაცემის თარიღი : 14.07.2016

გაცნობის თარიღი : 15.07.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 8 ა , (ნაკვეთი N37/41) / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 8 ა , (ნაკვეთი N37/42) / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

თქვენი 2016 წლის 14 ივნისის №AR1412858 განაცხადის პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება გაცნობებთ, რომ სამსახურის 2016 წლის 08 ივლისის №2701328 გადაწყვეტილებით დაგევალათ 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებით შეთანხმებული

არიქტეტურული პროექტის შესაბამისი გეგმების წარმოდგენა შესწორებული მაჩვენებლების დატანით და დეტალური განმარტეის წარმოდგენა, შეთანხმებულ გეგმებზე და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში დაშვებული ტექნიკური შეცდომების თაობაზე.
წინამდებარე განცხადებით თქვენს მიერ წარმოდგენილია მხოლოდ გეგმები. ამასთან, წარმოდგენილ გეგმებზე მითითებული ფართები არ შეესაბამება ამავე გეგმებზე გამოტანილ ექსპლიკაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აქტში ტექნიკური შეცდომის არსებობის თაობაზე, დააკმაყოფილოს განაცხადი და ჩაანაცვლოს 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები წარმოდგენილი გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დადგენილ ვადში არ მოხდა განსაზღვრული ინფორმაციისა და შესწორებული გეგმების წარმოდგენა, სამსახურის 2016 წლის 21 ივნისის №2664321 ბრძანების შესაბამისად, თქვენი 2016 წლის 14 ივნისის № AR1412858 განცხადება რჩება განუხილველი.
